FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

# ზაზა ოსებაშვილის ისტორია

ზაზა ოსებაშვილი სერვის ლიდერია. მას შინაგან საქმეთა სამინისტრო ედავება წვრილმან ხულიგნობას, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასა და პოლიციელის შეურაცხყოფას. ზაზა 2024 წლის 2 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე გამართულ პროევროპულ აქციაზე დააკავეს, კერძოდ სასტუმრო "მერიოტის" მიმდებარე ტერიტორიაზე. ის აქციაზე სამსახურის შემდეგ მეგობართან ერთად მივიდა და დაახლოებით ნახევარი საათი დაყო. ამ დროს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, დაიწყეს აქციის დაშლა, სპეციალური საშუალებების გამოყენებით. ზაზას თქმით, ის მეგობრის მოძებნას და სხვა მოქალაქეებთან ერთად ტერიტორიის დატოვებას ცდილობდა, თუმცა სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა მათ ამის შესაძლებლობა არ მისცეს. ტერიტორიის დატოვების მცდელობის მომენტში მას  ყოველგვარი გაფრთხილების და მოწოდების გარეშე თავს დაესხა 3 ნიღბიანი სპეცრაზმელი, ფიზიკურად გაუსწორდნენ და  დააკავეს.

ზაზას ნიღბიანმა პირებმა ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს სახისა და სხეულის სხვადასხვა არეში. ცემის შემდეგ გადაიყვანეს სამარშრუტო ტაქსიში სადაც მის მიმართ ფიზიკური ძალადობა გაგრძელდა, ნიღბიანი პირები მას და იქ მჯდომ ადამიანებს ურტყამდნენ  გამეტებით. ზაზას სახის და ტანის არეში ხვდებოდა წიხლები, ცემის პროცესში აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ემუქრებოდნენ. ნიღბიანმა პირებმა ზაზას უკანონოდ ჩამოართვეს ტელეფონი, გასაღები, საბანკო ბარათები და სხვა კუთვნილი ნივთები (რომლებიც დაზარალებულისთვის დღემდე არ დაუბრუნებიათ). დაკავებული აღნიშნული „სამარშრუტო ტაქსიდან“ გადაიყვანეს მეორე „სამარშრუტო ტაქსში,“ სადაც მას სხვა ნიღბიანი პირები გაუსწორდნენ ფიზიკურად.

მას შემდეგ რაც ერთ-ერთმა ნიღბიანმა დაიძახა - "მორჩა, ეს მიხედილია" (რაც იმას ნიშნავდა, რომ საკმარისად ნაცემი იყო) ზაზა პოლიციის ავტომობილში გადაიყვანეს. მიუხედავად იმისა,რომ დაზარალებულს ეგონა, პოლიციის ავტომობილში ბევრად უფრო დაცულად იგრძნობდა თავს, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ავტომობილშიც გაგრძელდა, ორი ნიღბიანის მხრიდან. ასევე სხვა პოლიციელები ზაზას აგინებდნენ, ემუქრებოდნენ და დასცინოდნენ.

ცემის შედეგად ზაზა იოსებაშვილმა მიიღო დაზიანებები თავისა და ნეკნების არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ადგილზე. ნიღბიანი პირები მას ემუქრებოდნენ და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. „თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მტერს ტყვედ ჩავუვარდი. ძალიან გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო რა გველოდებოდა.“ - იხსენებს ზაზა.

ცემის შემდეგ ის დაზიანებებით გადაიყვანეს საპოლიციო შენობაში. დოკუმენტაციის შედგენის შემდგომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა ზაზა ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკაში მოათავსა. კლინიკაში დაზარალებულს ჩაუტარდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, დაუდგინდა დაზიანება თავის არეში, კერძოდ ტვინის შერყევა და განესაზღვრა 10 დღიანი წოლითი რეჟიმი, ასევე მას ჰქონდა დაზიანება ნეკნების არეში, ინგოროყვას კლინიკაში უთხრეს, რომ თირკმელზეც ჰქონდა პრობლემა და საჭირო იყო სპეციალისტს ენახა, თუმცა უსახსრობის გამო ზაზამ ვერ შეძლო სრულყოფილი მკურნალობის ჩატარება.

ზაზა ოსებაშვილი მოქალაქის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების საფუძველზე. სასამართლოში ზაზას საქმე განიხილა მოსამართლე ლელა მილდენბერგერმა. საქმეზე ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო მისი რეალური დამკავებელი, ისინი ადგილზეც კი არ იმყოფებოდნენ. საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენას. მოსამართლემ მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე ზაზა იოსებაშვილი სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 2,000₾-ის ოდენობით.

არსებული ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე.
ზაზა იოსებაშვილი გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. აღსანიშნავია, რომ პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს როგორც წამება, დამამცირებელი ან არაადამიანურ მოპყრობა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია.

პროკურატურამ ზაზა იოსებაშვილს უკვე მიანიჭა დაზარალებულის სტატუსი, თუმცა დღემდე პასუხისგებაში არცერთი პირი არ არის მიცემული.